ოქმი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს **რიგგარეშე** სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 20 იანვარს.

სხდომა დაიწყო 12:30 საათზე, დამთავრდა 12:40 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯ. ტყებუჩავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მ. გვიჩია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის თავმჯდომარე - გ. შომახია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე - ზ. ნაჭყებია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ჯ. ტყებუჩავა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯ. ტყებუჩავა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 8; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯ. ტყებუჩავა

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2026 წლის 16 იანვარს შემოსულია სენაკის მუნიციპლიტეტის მერიიდან მომართვა №40-402601592 (სარეგისტრაციო №12-41260161-41) დადგენილების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" სადაც მოთხოვნილია წარმოდგენილი პროექტის განხილვა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 8; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის სმუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 22 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 22 იანვრის რიიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

2. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, რომელიც გაიმართება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2026 წლის 22 იანვარს.

3. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 22 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე“.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ჯუმბერი ტყებუჩავა